ანტიოქიის საპატრიარქოს სინოდი: უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის შვილები ხელისუფლების მხრიდან სარწმუნოების გამო იდევნებიან

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 25.10.2023. ანტიოქიის საპატრიარქოში ლოცულობენ კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარეს მიტროპოლიტ ონოფრესთვის, აღმსარებლობის გზით მავალი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრისთვის, რომლის შვილებსაც რწმენის გამო დევნის ადგილობრივი ხელისუფლება. ამის შესახებ **ნათქვამია** ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომის შემდეგ გაკეთებულ განცხადებაში, რომელიც 2023 წლის 16-21 ოქტომბერს გაიმართა ბალამანდში (ლიბანი) დიდი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის უნეტარესი პატრიარქის, იოანე X-ის თავმჯდომარეობით.

სინოდის წევრებმა განიხილეს მართლმადიდებლურ სამყაროში მიმდინარე მოვლენები, ასევე მოუწოდეს ყველა ეკლესიას გაერთიანებისა და შერიგებისკენ, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მართლმადიდებლობა სცილდება ეროვნულ განსხვავებებს და მოწოდებულია გამოაცხადოს ღვთის დიდება მის შემოქმედებაში.

სხდომის დასაწყისში წმინდა სინოდმა მოუწოდა, არ შეწყვიტონ ლოცვები ალეპოს ქრისტიანული თემების ლიდერებისთვის, რომლებიც **2013 წლის აპრილში გაიტაცეს** – ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქი, ალეპოსა და ალექსანდრეტის მიტროპოლიტი პავლე და ალეპოს მიტროპოლიტი მარ გრიგოლ იოანე (აღმოსავლეთის სირიის ეკლესია) – და ხმამაღლა შეხსენება გავაგრძელოთ მომხდარის შესახებ. იერარქებმა ასევე დაგმეს საერთაშორისო ორგანიზაციების დუმილი ამ თემაზე, რომელიც ათ წელზე მეტი ხანია გრძელდება და მოითხოვეს გატაცებული იერარქების ბედის გარკვევა, რომელთა მაგალითიც ავლენს აღმოსავლეთის ტანჯული ხალხების განუწყვეტელ ტანჯვას.

სინოდის მამებმა აღნიშნეს, რომ ახლა აღმოსავლეთის მიწებზე „სასიკვდილო სიძულვილის ატმოსფერო სუფევს“ და ხაზი გაუსვეს, რომ „მიუხედავად შემაძრწუნებელი უბედურებებისა, მიუხედავად ყველა იმედგაცრუებისა და სასოწარკვეთილებისა, აუცილებელია გავიხსენოთ, რომ ღმერთმა ეს მიწა ადამიანებს მიანდო, რათა ამა სოფლის ოაზისად გადაექციათ, და არა ჯოჯოხეთის ადგილად“.

პალესტინაში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით, სინოდმა ხაზგასმით აღნიშნა: „ანტიოქიის ეკლესია გმობს პალესტინელი ხალხის და, კერძოდ, ღაზას სექტორის წინააღმდეგ დღეს დაწესებულ ბლოკადას და გადაჭრით გმობს პირდაპირ მთელი მსოფლიოს თვალწინ იქ ჩადენილ გენოციდს. ძალადობა, რომელიც ხდება, არის საერთაშორისო ნორმებისა და რეზოლუციების დარღვევის შედეგი, რომლებიც შექმნილია სამართლიანობის ხელშეწყობისთვის“. წმინდა სინოდმა ანტიოქიის სამრევლოებს მოუწოდა, მომავალი კვირა მიუძღვნან ლოცვებს სამართლიანობისა და მშვიდობისთვის და შეაგროვონ დახმარება დაზარალებულთა დასახმარებლად.

იმის გამო, რომ არსებული ვითარება მოითხოვს გაძლიერებულ ლოცვას და თანამშრომლობას, ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა გადაწყვიტა, აღედგინა საეკლესიო ზიარება იერუსალიმის საპატრიარქოსთან და შეექმნა კომისია იერუსალიმის ეკლესიის ძმებთან ურთიერთობისთვის ყატარის იურისდიქციის შესახებ საეკლესიო დავის გადაჭრის გზების მოძიების მიზნით. სინოდმა ასევე გადაწყვიტა ამანში საეკლესიო დელეგაციის გაგზავნა „ანტიოქიის ეკლესიის მორწმუნეების სიყვარულის გამოხატვის მიზნით იერუსალიმის საპატრიარქოს მორწმუნეებისადმი და მათ მხარდასაჭერად ამ რთულ და საბედისწერო ჟამს“.

ანტიოქიის ეკლესიის სინოდის წევრებმა ლოცვები აღავლინეს სირიის სტაბილურობისა და მის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების შესაწყვეტად. ისინი მოწოდებით გამოვიდნენ, რომ მოიხსნას სასტიკი ეკონომიკური ბლოკადა და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბლოკადა სირიელებს ემიგრაციისკენ უბიძგებს და ქმნის იძულებითი გადაადგილების ტალღას, რომელიც გავლენას ახდენს მეზობელ ქვეყნებზე და განსაკუთრებით ლიბანზე.

ასევე აღავლინეს ლოცვები ლიბანში სტაბილურობისა და სამართლიანობის აღსადგენად და 2020 წლის **ბეირუთის პორტში აფეთქების** შედეგად დაღუპულთა სულების საოხად.

„მამები ლოცულობენ ერაყისთვის და რეგიონის ყველა ხალხისთვის, –ნათქვამია განცხადებაში. – ისინი

მოუწოდებენ, უპირატესობა მიანიჭონ რეგიონში დიალოგის სულისკვეთებას, და არა სამხედრო დაპირისპირების ენას, რომლის მსხვერპლიც ხდება ამ ქვეყნის მოსახლეობა.

სინოდის წევრებმა გაიმეორეს მოწოდება, შეწყდეს ომები და კონფლიქტები მთელს მსოფლიოში, მათ შორის უკრაინაში. „მამები ევედრებიან იესო ქრისტეს, მშვიდობის უფალს და ყოველგვარი ნუგეშის ღმერთს, თავისი წყალობით აღმოფხვრას ომის ძალა და ბოროტების ველურობა, განკურნოს ტანჯულთა და მწუხარეთა იარები წუთისოფელში, რომელსაც სწყურია და ნატრობს მის ტკბილ მშვიდობას“, – ნათქვამია დოკუმენტში.

ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ორი ანტიოქიელი მღვდელმოწამის განდიდების შესახებ, ესენია: მღვდელი ნიკოლოზ ჰაში, მოწამეობრივად აღსრულებული მერსინში 1917 წელს და მისი ვაჟი მღვდელი ჰაბიბ ჰაში, მოწამეობრივად აღსრულებული ჯაბალ ალ-შეიხში 1948 წელს. მათი ხსენების დღედ დადგენილ იქნა 16 ივლისი, მღვდელმოწამე ჰაბიბის აღსრულების დღე. ჩრდილოეთ ამერიკის ანტიოქიის სამთავარეპისკოპოსოს თხოვნით, სინოდის წევრებმა ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის კალენდარში შეიტანეს ბრუკლინის ეპისკოპოსის წმინდა მღვდელთმთავარ რაფაელის (ჰავავინის) ხსენების დღე. სინოდმა ასევე აკურთხა ანტიოქიის წმინდანთა კრების ხსენების დღის აღნიშვნა სულთმოფენობის დღესასწაულიდან მეორე კვირიაკეს.

ოჯახური ღირებულებების თემასთან დაკავშირებით აღინიშნა პრობლემები, რომლებსაც ეჯახებიან ოჯახები ანტიოქიის საპატრიარქოს სამწყემსო პასუხისმგებლობის მთელს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ეს ბავშვებსა და ახალგაზრდებს ეხებათ. მწყემსთმთავრებმა მოუწოდეს ყველა მორწმუნეს, დაიცვან სარწმუნოება და ეთიკური პრინციპები. ასევე სოციალური ღირებულებები. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს იცავს ოჯახის ინსტიტუტს სხვადასხვა მანიპულაციისა და დამახინჯებისგან, მათ შორის, რაც სკოლის სასწავლო პროგრამებითა და სხვა საშუალებებით ვრცელდება „თავისუფლებისა და ტოლერანტობის სახელით“.

განხილულ საკითხებს შორის სხვა თემებიც იყო ანტიოქიის ეკლესიის ცხოვრებიდან – როგორც სამშობლოში, ისე საზღვარგარეთ. შეივსო რამდენიმე ვაკანტური საეპისკოპოსო კათედრა, აირჩიეს საპატრიარქოს ახალი ქორეპისკოპოსები და სინოდის მდივანი.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90925/